საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №393

თბილისი „04“ 05 2017 წ.

2016-2017 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების განრიგის (დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის) დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, „სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის N48/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესისა და პირობების“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 28 აპრილის N430053 მომართვის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2016-2017 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების განრიგი (დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის) შემდეგნაირად:

ა) 21 მაისი:

ა.ა) ქართული ენა და ლიტერატურა;

ა.ბ) ქართული, როგორც მეორე ენა;

ა.გ) გეოგრაფია;

ბ) 22 მაისი:

ბ.ა) უცხოური ენები;

ბ.ბ) ბიოლოგია;

გ) 23 მაისი:

გ.ა) ისტორია;

გ.ბ) ფიზიკა;

დ) 24 მაისი:

დ.ა) მათემატიკა;

დ.ბ) ფიზიკა;

ე) 25 მაისი - ქიმია.

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

ალექსანდრე ჯეჯელავა